ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულო

საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა რიგგარეშე

კომისიის სხდომა

ო ქ მ ი N5

18 მარტი

2024 წელი

# სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს V მოწვევის

## საკრებულო

### საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის

### სარეგისტრაციო სია

ქ. სამტრედია 18 მარტი, 2024 წელი.

1. მერაბ ულრელიძე ( კომისიის თავმჯდომარე)-
2. გოჩა არველაძე (კომისიის თავმჯდომარის მ/შ)-
3. ზექა თევზაძე-
4. ჯონი ახობაძე-
5. ტარიელ ცომაია-
6. დავით ჯანელიძე-
7. ირაკლი მელაშვილი-
8. ემზარ შუბლაძე-
9. აკაკი მინაშვილი-
10. ქეთევან კუტალაძე-
11. გივი ჯულაყიძე-
12. ვაჟა სტურუა-

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის

საფინანსო -საბიუჯეტო საკითხთა

კომისიის სხდომის

# ო ქ მ ი N5

ქ. სამტრედია 18 მარტი, 2024 წელი.

მიმდინარე წლის 18 მარტს სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ გოჩა არველაძის, თავმჯდომარეობით ჩატარდა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის რიგგარეშე სხდომა.

**სხდომას ესწრებოდნენ:** გოჩა არველაძე, ბექა თევზაძე, ჯონი ახობაძე, ტარიელ ცომაია, დავით ჯანელიძე, ირაკლი მელაშვილი, აკაკი მინაშვილი, ქეთევან კუტალაძე, გივი ჯულაყიძე.

**ასევე სხდომას ესწრებოდა:**

1. ა.(ა).ი.პ. ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები)გაერთიანებას დირექტორი - ხათუნა გაგუა. ბუღალტერი ნინო რუხაძე.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

**დღის წესრიგი:**

1.,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების'' 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის N გ-63.632335910 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ: გოჩა არველაძე/**

2. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა (9) ხმით კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა (9) ხმით დამტკიცებულია წარმოდგენილი სახით.

***დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით*** მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, კომისიის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის N62-622407871 18/03/2024წ. კორექტირებული წერილობითი მომართვა. რომელიც ეხება ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების" 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის N გ-63.632335910 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**გოჩა არველაძე-** როგორც მოგეხსენებათ, მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოვიდა N62-622407871 18/03/2024წ. კორექტირებული წერილობითი მომართვა.

აღნიშნულთან დაკავშირებით მინდა სიტყვა გადავცე ა.(ა)ი.პ. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების დირექტორს ქალბატონ ხათუნას, რათა დეტალურად განგვიმარტოს ზემოაღნიშნული ტექნიკური ხარვეზის შესახებ.

**ხათუნა გაგუა** - მოგახსენებთ, რომ ა.(ა)ი.პ. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების მ/წლის 11 მარტის # 25-62240717 (სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის 13 მარტის #62- 6224073141) წერილის კორექტირებულ ვერსიას, რომელიც გამოწვეულია, სახელშეკრულებო ფონდის ცვლილების საკითხის ბოლომდე არ შესწავლით, რაც იწვევს საქონელი და მომსახურების მუხლში არასწორ შიდა მუხლობრივ ცვლილებას. აქედან გამომდინარე მოვითხოვთ, შრომითი ხელშეკრულების ანაზღაურების ფონდში დამატებული 42,0 ათასი ლარი მიემართოს კვლავ საქონელი და მომსახურების მუხლის ავეჯის გეგმაში. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მოვითხოვთ 2023 წლის 25 დეკემბრის N გ-63.632335910 განკარგულებით 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანას, კერძოდ: კვების ხარჯის (კვების ტენდერებში დარჩენილი ეკონომიიდან გამომდინარე) შემცირებას 75,0 ათასი ლარით, შესაბამისად არაფინანსური აქტივში, არასაცხოვრებელი შენობებში 75,0 ათასი ლარით გაზრდას.

აქედან გამომდინარე მოხდეს ზემოაღნიშნული საკითხის გასწორება.

კომიისიი წევრებმა იმსჯელა და

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა 8 (ხმით) 1 (თავი შეიკავა) ქეთევან კუტალაძე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

*სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს*

*საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა*

*კომისიის სხდომის თავმჯდომარის მ/შ:* */გოჩა არველაძე/*

*სხდომის მდივანი:* */ლია ყურულაშვილი/*

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის
საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის
სხდომის

ო ქ მ ი N 5

(5.ფურცლად)

სხდომის თავმჯდომარის მ/შ: /გ.არველაძე/
2024 წელი